საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სამშაბათი, 5 აგვისტო 1919 წ. ეროვნული ერთობა ძლიერია, შეიარაღებული! № 173

ქართული ენა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ასევე—ერთ სვეტ-პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის იერესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24

ტელეფონი 16—62.

ორგან ბ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფენტრალური კომიტეტისა.

ღრმათ დამწუხრებულნი: ბიძია ნესტორ ანდრიას ძე, ბიცოლა ოლგა სპირიდონის ასული შვილებით: ვახტანგ, ავთანდილ, მიხეილ და შოთა ნარსიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ტრაღიკულათ მოკლულ ქ. ბათუმში საყვარელ

კოწია ეგნატეს ძე ნარსიას

დაკარგვას. გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში, პოდგორნის ქ., საკუთარ სახლიდან.

დამფუძნებელ კრების მუშაობის დროებით შეჩერება

ამ თვის ორს დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა დროებით შესწყვიტოს თავისი მუშაობა და განაახლოს ის ექვსი კვირის შემდეგ ენკენისთვის ცხრამეტიდან.

როგორი იყო ფამფუძნებელი კრების მუშაობა ამ სესიაში, რა გააკეთა მან თავის არსებობის პირველ ოთხ თვე ნახევრის განმავლობაში?

გარეგნულად დამფუძნებელ კრების მუშაობა არ იყო ღირს შესანიშნავი, მის სხდომებზე არ გაისმოდა ძლიერი სიტყვები, შიგ წარმოებულ პარტიული ბრძოლა უსიცოცხლო იყო.

მაგრამ ეს არ ნიშნავს დამფუძნებელ კრების უსიცოცხლობას და უძლურებას. არა ჩვეულებრივ შემთხვევებში დამოუკიდებლობის აქტის დადასტურების დროს და მაშინ, როცა საქართველოს წინაშე რეაქციონური საფრთხე აღიმართა ჯერ სომხების და შემდეგ დენიკინის სახით, დამფუძნებელი კრება აბობოქრებულ ზღვას ჰგავდა საოცარის ერთსულოვნობით და მტკიცე ნებით, რაც ქართველ ხალხის ნების ყოფის უტყუარ სარკედ უნდა ჩაითვალოს.

დანარჩენ შემთხვევაში კი დამფუძნებელ კრებას აშკარად ედო ბეჭედი უბრალო ამშენებლობითის ხასიათის დაწესებულებისა.

არსებითად ბევრს რამეში ყოფილი ეროვნული საბჭო და შემდეგ საქართველოს პარლამენტი ასრულებდა დამფუძნებელ კრების ფუნქციებს. გარდა ამისა დამფუძნებელ კრებაში გაბატონებულია ერთი პარტია—სოციალ-დემოკრატია, რომელიც ძლიერია არა მარტო რიცხვით, არამედ იდეითაც: საზოგადოებას კარგათ ახსოვს; თუ რა სასწაულებს ახდენდა რუსეთის სათათბიროში რიცხვით სრულიად უმნიშვნელო ჯგუფი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა, რომლის ყოველი გამოსვლა არა მარტო სათათბიროს კედლებს შუა იწვევდა დიდს ინტერესს, არამედ მთელს იმპერიაში ჰპოებდა გამოძახილს.

მაგრამ რამდენათ ძლიერი იყო ჩვენი ამხანაგების ოპოზიცია სათათბიროში, იმდენადვე სუსტი და უილაჯოა ჩვენი ოპოზია, რომლის გამოსვლა მუდამ უფერული იყო და ვერც დამფუძნებელ კრების შიგნით და ვერც მის გარეთ, ვერ ჰპოებდა თანაგრძნობას.

ამ გვარათ ოპოზიციის სისუსტე და უილაჯობა ერთგვარ უსიცოცხლობის ბეჭედს ასვამდა დამფუძნებელ კრებას.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, ვითომ დამფუძნებელი კრები უდაოდ ღებულობდა ყველა კანონებს და დადგენილებებს. დავა ყოველთვის იყო, მაგრამ ეს დავა წყდებოდა შიგ უმრავლესობის ფრაქციაში და ფართე საზოგადოება ამ დავას ვერ უცქეროდა.

არსებითად დამფუძნებელმა კრებამ, უმთავრესად, მისმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მიუხედავათ მოკლე დროისა, ბევრი დიდი საქმე გააკეთა: გარდა იმისა, რომ მან დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დაცვის საქმეში სომხების და დენიკინის შემოსევის დროს, მან დაამტკიცა სამხედრო ხელშეკრულობა ადერბეიჯანთან, რითაც საფუძველი გაუმაგრა მთელი ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობას და საბაბი მისცა ჩვენში ერთა სოლიდარობის საქმის განმტკიცებას.

კანონმდებლობის სფეროში დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ თითქმის დაამთავრა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, ხოლო თითონ დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი კანონი ჯარის რეორგანიზაციისა და დებულება სენატისა, რომლის უქონლობის გამო ფაქტიურათ მოშლილია დღემდე ჩვენში მართლმსაჯულობის აპარატი.

სხვა შედარებით წვრილმან კანონების ჩამოთვლას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენი ცხოვრებისა არ დარჩენილა დამფუძნებელ კრების ყურადღების გარეშე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ თვენახევრის განმავლობაში დეპუტატები ადგილობრივ გააცნობენ ხალხს დამფუძნებელ კრების მოღვაწეობას და კიდევ უფრო განამტკიცებენ იმ კავშირს, რომელიც ხალხსა და მისი ნდობით აღჭურვილ დაწესებულებას შორის არსებობს, რათა მუშაობის განახლების შემდეგ კიდევ მეტის ენერგიით შეუდგეს მუშაობას და დააგვირგვინოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ წყობილების აღმშენებლობის საქმე.

პრესა

„ნორ აშხატავორი“ (№ 154) მოწინავე წერილში—„ჩვენთან თუ ჩვენ წინააღმდეგ“—სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„ახლა ეჭვს გარეშეა, რომ სომხეთს თავს დაესხა ოსმალეთი. როგორ მოიქცევიან ამ შემთხვევაში ადერბეიჯანი და საქართველო? ადერბეიჯანზე ვიტყვით, რომ მას უკვე თავისი პოზიცია დაუჭერია. იგი, როგორც წინათ, ისე ახლაც სიამოვნებით მიეგებება ეუბ და სხვა ფაშებს, როგორც ოსმალეთის გულწრფელი მოკავშირე და ამიერ-კავკასიის ნაფიცი მტერი. რაც შეეხება საქართველოს, არ ვიცით რა გზას დაადგება ქართველი დემოკრატია, კერძოთ მენშევიკური მთავრობა ამ საფრთხის დღეებში? ეს საფრთხე კი ეშუქრება არა თუ მარტო სომხეთს, არამედ—საქართველოსაც.

„ახალციხის და ფოცხოვის ოლქების ყოფილ სომხეთ-აღმოსავლეთ რესპუბლიკის რაინდები გამოსულან ახლა და დაუწყიათ იარაღის ჟღარუნი საქართველოს მისამართით.

„ეშვს გარეშეა, რომ ოსმალეთის გამარჯვება სომხეთის საზღვრებში გაუღვიძებს ძველ სიზმრებს და ახლათ გაახვევს ჯავახეთის მოსახლეობას ბრძოლის და ძარცვის საშინელებაში. უარყოფითია ის, რომ ჯერ მაჰმადიანი აჭარა შორს დგას საქართველოსგან და რჩევას თავის მოქმედებაზე იღებს სტამბოლიდან და ბაქოდან უფრო მალე, ვიდრე თფილისიდან. არ არის იმის იმედი, რომ ხვალ ეგ აჭარა „სამხრეთ-აღმოსავლეთ მაჰმადიანობის გამორკვევის სახელით არ ულალატებს ქართველ დემოკრატიას. საფრთხის სიდიდე ცხადია აგრეთვე ჩვენი ქვეყნისთვისაც.

„ამ პირობებში სომეხ მშრომელ ხალხს უფლება აქვს შეეკითხოს ქართველ ხელმძღვანელ წრეებს, თუ რა გზას დაადგებით ამ საფრთხის წინაშე? განცხადებების თანახმად, საქართველოც გამოვა ოსმალეთის წინააღმდეგ, თუ ჩუმი მოთამაშე უყურებს, თუ როგორ იცლება სისხლიდან თავისი მეზობელი ერი?

„ამ ბედიღბლის გადამჭრელ მწარე დღეებში სომეხი მშრომელი ხალხი პასუხს ელის ოქვენგნით—ჩვენთან, თუ ჩვენ წინააღმდეგ ხართ?

სამწუხაროა, რომ დაშნაკცუთიუნის პარტიამ მხოლოდ ნახიჩევანის დაკარგვის გამო დაგვისვა კითხვა: ჩვენთან, თუ ჩვენს წინააღმდეგო. როცა საქართველომ და ადერბეიჯანმა დაუსვეს ეს საკითხი სომხეთს დენიკინის საერთხის გამო, მაშინ დაშნაკელებმა პილატესავით ხელის დაბანა არ იკმარეს და იუდასებური ამბორისათვისაც ემზადებოდენ. დღესაც ისინი აჭარით და ჯავახეთით გვაშინებენ, რაც მათი მხრით გაშიშვლებული ცინიზმია, რადგან ვინ არ იცის, თუ რა მუხანათურ როლს თამაშობენ ისინი ჩვენს წინააღმდეგ ახალციხე-ახალქალაქში?..

ჩვენ მაინც ვეუბნებით დაშნაკცუთიუნს სომხის დემოკრატიის საყურადღებოთ: ჩვენ მუდამ დემოკრატიასთან ვართ, მაგრამ ნახიჩევანის გამო საქართველოს თავის ჯარებს ვერ გაგზავნის ოსმალეთის წინააღმდეგ. ის იძულებულია იხელმძღვანელოს პრინციპით: დამეხმარე და დაგეხმარები. სომხეთი ვალდებულია ჩვენს კავშირში შემოვიდეს, ვალდებულია სადავო საკითხების შეთანხმებით გადაჭრაზე დათანახმდეს და როცა ის ჩვენთან კავშირში იქნება, მაშინ ყოველი მისი მტერი ჩვენ მტრად იქნება მიჩნეული.

ისე კი, ჩვენ რეალურათ მას ვერ დავეხმარებით, თუმცა ჩვენი თანაგრძნობა მათკენ იქნება. რამდენადაც ისინი თავის დამოუკიდებლობას და დემოკრატიის ინტერესებს იცავენ.

* * *

ბარათოვის ჩამოსვლის გამო „სახალხო საქმე“ აფრთხილებს ჩვენს მთავრობას.

„უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათოვი ჩვენ რუსეთის წარმომადგენელად არ მიგვაჩნია და არც ერთს მის მოთხოვნას, რომელი წამოყენებული იქნება რუსეთის სახელით, მისაღები წინადადებაც რომ იყოს, არ მივიღებთ. მოხალისეთა არმია რუსეთის გამომხატველი არ არის და არც არასოდ ს იქნება“.

ამ ახირებულ ფილოსოფოსობის შემდეგ გაზეთი ასწავლის ჩვენს მთავრობას:

დიდს დანაშაულებას ჩაიდენს მთავრობა, თუ ბარათოვმა რუსეთის სახელით მოისურვა დალაპარაკება საქართველოსთან და მთავრობამ მიიღო სალაპარაკოდ ბარათოვი.

საქმე ის კი არ არის, თუ ვისი სახელით მოისურვებს ლაპარაკს ბარათოვი, არამედ ის, თუ რას იტყვის იგი.

„სახალხო საქმე“ მხოლოდ იმაშია მართალი, როცა ამბობს:

თუ აღმოჩნდა, რომ მისი აქ ყოფნა ერთგვარ ზნეობრივსა და იქნება ქონებრივ ენერგიასაც მატებს ჩვენში დარჩენილ რეაქციონურ წრეებსა და დენიკინის მომხრეებს, იგი დაუყოვნებლივ გაძევებულ უნდა იქნას საქართველოს საზღვრებიდან.

ასეც უნდა მოველოდეთ

სომეხი ბურჟუაზიის კაპიტალით თფილისში რუსულ ენაზე გამოდის საორშაბათო „ნოვი დენი“.

წარსულ ორშაბათს ამ გაზეთმა ცნობა მოათავსა, „სარწმუნო წყაროებიდან“ მიღებული იმ ნოტის შესახებ, რომელიც თითქოს პრეზიდენტ ვილსონს გამოეგზავნოს საქართველოს მთავრობისათვის, რათა ის არ აკავებდეს საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთისათვის დანიშნულ სურსათს.

ამავე გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულია კლემანსოს დეპეშა საქართველოს მთავრობისადმი, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსს. საქართველოს მთავრობის მიერ ასეთი ზომა თურმე საზავო კონფერენციაზე ჰქმნის საქართველოს საწინააღმდეგო სულიერ განწყობილებას და სხ.

ჩვენ არ ვეხებით, თუ რამდენათ გადმოცემული ცნობა სინამდვილეა ან ჭორი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველაფერია მოსალოდნელი.

ასეთი ცნობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სომხეთის ცხოვრების ხელმძღვანელის—დაშნაკციუტიუნის მიერ დაბეზღება საქართველოს რესპუბლიკაზე ერთი და ორი არ იქნება იმათ წინაშე, სადაც მოსალოდნელია ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა.

ამ აუარებელ „ფაქტებს“, რომელიც წარდგენილი აქვს „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის საქართველოს წინააღმდეგ, როგორც მოღალატისა მოკავშირეთადმი, ეს ერთი ფაქტიც დეემატება,—შევიწროვება, შიმშილით ამოხოცვა იმ სომხის ხალხისა, რომელიც „დღიდან საერთაშორისო ომის დაწყებისა, მოკავშირეებთან იყო, მათთან ღვრიდა სისხლს“...

აქ იმის შესახებაც არაფერს ვიტყვით, თუ რამდენათ არ შეეფერება სინამდვილეს ის ბრალდება, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე, ბათუმით გინდ სხვა ადგილებიდან სომხეთისთვის შემოზიდულ სურსათს არ უშვებდეს ჩვენი მთავრობა.

თავის დროზე მომხდარმა გამოძიებამ ამის შეახებ უტყუარჰყო, რომ სომხეთი ცალიერ ვაგონებს არ აბრუნებდა, ეს იყო მთავარი მიზეზი...

აქ ჩვენ გვსურს ერთ გარემოებას გაუსვათ ხაზი: სომხების დღევანდელი ხელმძღვანელნი ბევრს გაიძახიან სიტყვით კეთილ მეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე და თუ ასეთ მახინაციებს მიმართავენ, თუ უბრალო, შინ მოსაგვარებელი საქმეც კი პარიზის კონფერენციაზე გადაიტანეს—იშველიებენ ვილსონს და კლემანსოს, ასეთი ხალხი აქ, რა თქმა, უნდა, კეთილ მოზობლური დამოკიდებულების დამყარებას ხელს არ შეუწყობს...

აი რა არის მოსალოდნელი ამ ჯურის ხალხისაგან!..

დამფუძნებელი კრება

2 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

მიღებულ იქნა შემდეგი დეკრეტები: ეროვნებისთვის 10 მილიონი მანეთის სესხებისა, სამოსამართლო-საგამომძიებლო ინსტიტუტის საჭიროებისათვის დამატებით 1,500,500 მან. გადადებისა, ნავთ-საადგურების საჭიროებისათვის 14,188,516 მან. 92 კ. გადადებისა, ქიათურის მარგანეცზე საფუთო გადასახადის გადაღებისა, გეოლოგიურ გამოკვლევისათვის 200,000 მან. გადადებისა, მარგანეცის გატანაზე მონოპოლიის დაწესებისა, სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა: დაბალ მოსამსახურეთ, რომლებიც 600 მანეთზე მეტს არ იღებდენ, მოემატა 275 მან., რემინგტონისტკებს და სხვებს, რომლებიც 650 მანეთზე მეტს არ იღებდენ, მიემატათ აგრეთვე 275 მან. სხვა მოსამსახურეთ, რომელნიც ძირითად ჯამაგირად იღებდენ არა უმეტეს 1,000 მან., ემატებათ 50 პროც., რომლებიც 1,000 მანეთზე მეტს იღებდენ, მიემატათ 35 პროც. ეს მომატება არ ეხება რკინის გზის, დამფუძნებელი კრების კანცელიარიის, ფოსტის, ნავთსადგურის და სამხედრო უწყების მოსამსახურეთ. შემდეგ კრება იღებს დეკრეტს: რკინის გზის მოსამსახურეთათვის 30 დან 25-დე % მომატებისა, დამფუძნებელი კრების კანცელიარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში 150,000 მან. გადადებისა, სამხედრო ნაოსნობის და საგამომძიებლო ზედამხედველობის შტატებისა, საქალაქო მილიციისათვის 50 პროც. ჯამაგირის მიცემისა, მიმრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესანახად 6,928,608 მან. გადადებისა.

შემდეგ გრძელდება ერ.-დემ. ფრაქციის შეკითხვის (სოხუმის ამბების შესახებ) განხილვა.

საპასუხო სიტყვით გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი:** მთავრობის პოლიტიკა სოხუმის ოლქში უნდა იყოს ფრთხილი. ეჭვი არაა, იქ არის რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ელემენტები: ერთის მხრივ, ბალშევიკები და მეორეს მხრივ, მემარჯვენენი, რომლებიც უკმაყოფილონი არიან რესპუბლიკანური წყობილებით. აფხაზეთის საბჭოშიც არის ჯგუფი, რომელიც მიისწრაფის შექმნას დამოუკიდებელი აფხაზეთი, რომ შემდეგ ადვილად შეუერთდენ დენიკინს. მაგრამ, როგორც საბჭოს, ისე ოლქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა

დღეს

ბალშევიკების ცნობით ბალკანეთში მდგომარეობა გამწვავებულია.

ავსტრიელებს 7 დღით კიდევ გაუგრძელეს ვადა საზავო ხელშეკრულების განსახილველად.

ბულგარეთის საზავო დელეგაციის აზრით დობრუჯა და ფრაკია ბულგარეთს არ უნდა ჩამოშორდეს.

მოკავშირეები იმ შემთხვევაში მოხსნიან უნგრეთს ბლოკადას. თუ გადაყენებული იქნება ბელა კუნის მთავრობა.

საფრანგეთის გენერალური შტაბი აგვისტოს განმავლობაშიც იარსებებს.

არ იზიარებს ამ უპასუხისმგებლო ელემენტების შეხედულობას და მხარს უჭერენ საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობას. პროექტი კონსტიტუციისა, რომლის შესახებ ნათქვამია შეკითხვაში, მართალია წარედგინა საბჭოს, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა მის მიერ. რაც შეეხება სახელმწიფო ენას, ყოველგვარი მიწერ მოწერა სოხუმის ოლქთან ჩვენ გვაქვს ქართულ ენაზე და ამის წინააღმდეგ არც ერთ ხელმძღვანელ ჯგუფს ოლქში წინააღმდეგი არ უთქვამს. არღვევს რა შეკითხვის ყველა მუხლებს, მინისტრი ამბობს, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგე მემარცხენე ელემენტებთან ერთად, იქ ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ იბრძვიან აგრეთვე მემარჯვენე ელემენტები ნაციონალ დემოკრატიული პარტიის სახით.

მათი პოლიტიკით იქ საოგებლობენ ჩვენი რეპუბლიკის ყველა მტრები. ჩვენი პოლიტიკა კი იქ მდგომარეობს იმაში, რომ შევაკავშიროთ ყველა ეროვნებათა დემოკ ატია და ეს პოლიტიკა ჩვენ შეძლებას გვაძლევს, დავემყაროთ რა მცხოვრებთა ყველა სასიცოცხლო ძალებს, განვამტკიცოთ წესიერება. აფხაზეთის საბჭომ აირჩია სპეციალური დელეგაცია, რომ დამფუძნებელ კრებასთან ერთად გამომუშავდეს საკონსტიტუციო საკითხი. მე მრწამს, რომ ამ მუშაობის მერე ყველა გაუგებრობა გაჭრება. ჩვენი პოლიტიკა, რომელსაც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობა თანაუგრძნობს, შემდეგშიც შეუცვლელი დარჩება. დემოკრატიული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ იქ ვაწარმოებ, შემდეგშიც არ იქნება შერყეული (ტაში).

სიტყვას ამბობს აფხაზი **ვ. გურჯუა**, რომელიც მიულოცავს რა დამფუძნებელ კრებას, აღნიშნავს, რომ მას კარგად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მჭიდრო კავშირს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ჩვენ ჩვენ თავს, ამბობს ორატორი — არ ვსთვლით საქართველოს რესპუბლიკის გერად, არამედ ვართ მისი ღვიძლი შვილები (ტაში). ჩვენ გვინდა ერთი კანონი და ერთიანი წესრიგი რესპუბლიკის ყველა ნაწილებისთვის (ტაში). აფხაზეთს უნდა ავტონომია მხოლოდ თავის შინაურ საქმეების აღმაშენებლობაში. ჩვენ გამოვიმუშავებთ ჩვენი ავტონომიის კონსტიტუციას, ამ კონსტიტუციას დაამტკიცებთ თქვენ და თქვენი დადგენილება იქნება ჩვენთვის სავალდებულო. ჩვენ ამის მეტს არას მოვითხოვთ, ამის წინააღდეგ კი საქართველოს დემოკრატია არც წასულა და არც წავა. აფხაზეთის დემოკრატია ეროვნების განურჩევლათ თქვენ მოგდევთ, მაშ გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას და მის რესპუბლიკას (ტაში). გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს, დემოკრატიულ ავტონომიურ აფხაზეთს (საერთო ტაში).

ბ. ჩხიკვიშვილი აკრიტიკებს ნაციონალ-დემოკრატების მოქმედებას სოხუმის ოლქში, იწონებს მთავრობის პოლიტიკას და ამბობს, რომ მიუხედავად მუშაობის სიმძიმისა, მთავრობის პოლიტიკის გამო ოლქის მრავალ ერიან მცხოვრებთა თანაგრძნობა ჩვენსკენაა.

ლ. შენგელაია აბსურდათ სთვლის დამოუკიდებელ აფხაზეთის და ამბობს, რომ კულტურული ავტონომია სრულიად აკმაყოფილებს ოლქის თავისუფალ განვითარებას. ორატორს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია იქ დაუყონებლივ ფართო სოციალური რეფორმების გატარება.

ხ. მდივანი საჭიროდ სცნობს რეფორმების გატარება დაჩქარდეს და ბრძოლა იყვეს რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ელემენტებთან.

ს. კედია არ იზიარებს მთავრობის პოლიტიკას და ამბობს, რომ წინააღმდეგ მთავრობის განცხადებისა საქართველოს საწინააღმდეგო განწყობილება ოლქში იზრდება. სიმართლეს პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში. ორატორი სიხარულს გამოსთქვამს **ვ. გურჯუას** გამოსვლის გამო, რამდენადაც მან გამოხატა აფხაზეთის მცხოვრებთა მისწრაფება. ორატორი სთხოვს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, მიიღოს ზომები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ოლქში რესპუბლიკის ინტერესები.

კომათი შესწყდა. მიღებულ იქნა ს.-დემ. ფრაქციის ფორმულა: „მოისმინა რა ნ.-დემ. ფრაქციის შეკითხვა აფხაზეთის ამბების შესახებ და მთავრობის წარმომადგენლის დამაკმაყოფილებელი პასუხი, დამფუძნებელი კრება გადადის მორიგ კითხვებზე“.

დღის წესრიგში დგას ეროვ.-დემ. ფრაქციის შეკითხვა „სალი კლდის“ დაკეტვის და რ. გაბაშვილის დატუსაღების შესახებ.

ს. კედია იცავს შეკითხვას. შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი** ამბობს, რომ მთავრობა შეებრძოლება ყველას, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავა, იქნება ეს მარცხნიდან, თუ მარჯვნიდან. როდესაც ჩვენ ვიღებთ რეპრესიულ ზომებს ბალშევიკების წინააღმდეგ, ეროვ.-დემ. კმაყოფილნი არიან და როცა ჩვენ იმავ ანტი სახელმწიფოებრივ მოქმედებისათვის ვებრძვით მემარჯვენე ელემენტებს—მათ შეკითხვა შემოაქვთ. ზომები „სალი კლდის“ და რ. გაბაშვილის წინააღმდეგ იმიტომ იქნა მიღებული, რომ მან იმ თავითვე სახელმწიფოს საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა და უკანასკნელ ხანებში მუშაობა რესპუბლიკის წინააღმდეგ დაუშვებელ საზღვრამდე მიიყვანა თავისი გამოსვლებით, რომლებიც ადასტურებენ დენიკინის პრესის ყველა ინსინუაციებს ბ. გაბაშვილს სურდა შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უცხო ძალები ჩარეულიყვნენ საქართველოს შინაურ საქმეებში.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ს.-დ. ფრაქციის მიერ წარდგენილი უბრალო ფორმულა მორიგ საკითხებზე გადასვლის შესახებ.

ს.-დ. ფრაქციის წინადადებით ირჩევენ სარეკომენდაციო კომისიას სენატის დასაარსებლათ. კომისიაში შედიან: ნ. ელიავა, ს. ჯიბლაძე, ი. ჭავჭანიძე, ი. გომართელი, ლ. შენგელაია, ი. ბარათაშვილი და ა. ასათიანი. შემდეგ იღებენ წინა დღით მიღებულ კანონების და დეკრეტების საბოლოო ტექსტებს.

მიღებულ იქნა დადგენილება, რომ დამფუძნებელი კრების მუშაობა თვე ნახევრით შესწყდეს. პირველი სხდომა შეწყვეტის შემდეგ უნდა გაიხსნას პარასკევს, 19 სექტემბერს. პრეზიდიუმს უფლება ეძლევა ადრევე მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

თავმჯდომარე **ს. მდივანი** ამბობს სიტყვას, რომელშიაც ეხება დამფუძნებელი კრების 4 თვის მუშაობას და წინადადებას იძლევა მილოცვა გაუგზავნონ ჯარს და გვარდიას რკინის სალტესავით რომ შემოერტყნენ სამშობლოს და იცავენ მტრებისაგან რესპუბლიკის საზღვრებს (ძლიერი ტაში). ორატორი აგრეთვე იძლევა წინადადებას მიულოცონ ნ. ნ. ჟორდანიას, რომელიც შეუძლოდ არის და უსურვონ მას მალე გამოკეთება (ტაში) ორატორი ხურავს კრებას, ძახილით: გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს! გაუმარჯოს მის უზენაესობას (ტაში). ვაშა! ვაშა! (ტაში).

კრება იხურება საღამოს 5 საათზე.

უკანასკნელი ცნობები

გენ. ბარათოვი საგარეო საქმეთა მინისტრთან.

კვირას, 3 აგვისტოს გენ. ბარათოვმა ინახულა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და მიღებულ იქნა ე. პ. გეგეჭკორის მიერ გენ ბარათოვმა რწმუნება მისცა ე. პ. გეგეჭკორს, რომ მოხალისეთა ჯარი კეთილად არის განწყობილი საქართველოსადმი. გენ. ბარათოვის სიტყვებით, მოხალისეთა სარდლობას განზრახვა არ აქვს საქართველოს თავისუფლებას შეეხოს, მაგრამ შეწუხებულია მოხალისეთა ჯარის ზურგიდან ქართველების დაცემის შესაძლებლათ. ეს საშიშროება დასტურდება საგაზეთო ცნობებით იმის შესახებ, რომ საქართველო აიარაღებს ინგუშებს და სხვა მოხალისეთა მტრებს.

უპასუხა რა გენ. ბარათოვს ე. პ. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკა მუდამ მიისწრაფის იქითკენ, რომ დაამყაროს ყველა მეზობლებთან მშვიდობა და რესპუბლიკის მთავრობას არავითარი აგრესიული განზრახვები არა აქვსო.

იტალიელების მოსვლის შესახებ.

იტალიის მთავრობისაგან ტელეგრაფით ცნობა არის მოსული იმის შესახებ, რომ იტალიის ჯარები ამიერ-კავკასიაში აღარ იქნებიან გამოგზავნილი.

ამასთანავე მტკიცდება იტალიის განზრახვა, რომ საქართველოს რესპუბლიკასთან დაიჭიროს რაც შეიძლება მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირი.

ამ ურთიერთობის დამყარება დავალებული აქვს პოლკ. ვაბბას მისიას; რომელიც თფილისში ჩამოვა მომავალ კვირას.

კლემანსოს დეპეშა და საქართველოს მთავრობის პასუხი

საქართველოს მთავრობამ საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურის საშუალებით მიიღო დეპეშა კლემანსოსაგან მოკავშირე და მათთან შეთანხმებაში მყოფ ქვეყნების უმაღლეს საბჭოს სახელით გამოგზავნილი. „საბჭომ გაიგო, რომ საქართველოს მთავრობას წინააღმდეგობა გაუწევია იმ სურსათის გატანისათვის, რომელიც მოკავშირეებმა სომხეთს გაუგზავნეს, რომ შემცირებულიყო შიმშილი და უბედურება, რომელსაც განიცდის ამ ქვეყნის უბედური მცხოვრებლები. საბჭო ვერ პოულობს საკმაო ენერგიულ გამოთქმებს, იმის განსაცხადებლად, რომ ის ზომები, რომელიც მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ. . (გამოტოვებულია).

საბჭო ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობა არა თუ მისცემს უპირატესობას, რომ რკინის გზებზე, რომლებიც ეხლა მის განკარგულებაშია, გაიაროს ამ ტვირთმა, არამედ ყოველ ღონეს იხმარს, რომ გაიაროს ამ სურსათმა და აიღებს ამაში მხოლოდ ფასს, რომელიც ჩვეულებრივ არის დაწესებული. საბჭო მოელის საქართველოს მთავრობი აგან პასუხს, რომ იცოდეს თანახმა არის ის ამ შეთანხმებისა თუ არა.“

ამ დეპეშის საპასუხოდ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა: „პარიზი. მოკავშირე და მათთან შეთანხმებაში მყოფ ქვეყნების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ. კლემანსოს.

უმაღლესი საბჭოს საპასუხოდ იმ დეპეშისა, რომელიც ეხება იმ ვითომდა წინააღმდეგობას, რომელსაც ვითომდა სჩადის საქართველოს მთავრობა სომხეთში გასაზიდ სურსათის გამო, მე მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს უმაღლესობას შემდეგი: ის ცვობები, რომლებიც მიღებული აქვს უმაღლეს საბჭოს ამ კითხვის შესახებ, არ შეეფერება სიმართლეს. იმ თავითვე, როცა დაიწყეს მოკავშირეებმა სომხეთისათვის სურსათის მიწვდომა, საქართველოს რკინის გზებმა გაგზანა ბათუმიდან სომხეთში სასურსათო ტვირთი: თებერვალში 272 ვაგონი, მარტში 590, აპრილში 816, მაისში 567, ივნისში 1111, ივლისში (26-მდე) 500 ვაგონი, სულ 3584 ვაგონი. ეს არის მაქსიმუმი იმ გადასაზიდ საშუალებისა, რომელიც ჩვენ შეგვეძლო მიგვეცა სომხეთისათვის. გადატანა მოწყობილი იყო სისტემატიურად საქართველოს რესპუბლიკის მიერ იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა თვით განიცდის სასურსათო კრიზისს და მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავადაც: დიდი ნაწილი ვაგონებისას აკავებდა სომხეთი და მხოლოდ ინგლისის მისიის დახმარებით ვაგონები ბრუნდება ეხლა ასე თუ ისე პერიოდულად. უნდა აგრეთვე აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ნახევარი რიცხვი საქართველოს რესპ. რკინის გზის ვაგონებისა დაბანდებულია მოკავშირეთა სარდლობის სამხედრო საჭიროებისათვის. ამგვარად, ის დახმარება, რომელსაც უწევს საქართველოს რესპუბლიკა სომხეთს, ეჭვი არაა, ცუდათ იმოქმედებდა თვით საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ვხმარობთ რა ყოველ ძალღონეს, რომ შეუმსუბუქდეს სომეხ ხალხს წვალება და ვგზავნით რა სომხეთში ვაგონებს ასობით იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლები თვით იტანჯებიან სიმშილისაგან, რადგანაც მას არ ყოფნის გადასაზიდი საშუალებანი, ჩვენ ვცნობთ სრულიად უსამართლოდ და დაუმსახურებლათ იმ საყვედურებს, რომლებიც ჩვენკენ არის მომართული. ინგლისის სარკინისზო მისიას თფილისში შეუძლია დაადასტუროს ყველა ზემოდ მოყვანილი ფაქტები.

ძე შემიძლია თქვენ დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მთავრობა მომავალში ისე, როგორც ის შვრებოდა აქამდე, იხმარს ყოველ ღონეს, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს სასურსათო გასაჭირი სომხეთისა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მაგიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი **ევ. გეგეჭკორი.**

მუღანის დელეგაცია.

ბაქოში მოვიდა ინგლისის სარდლობასთან მუღანის გლეხთა დელეგაცია. დელეგაცია შუამდგომლობს, რათა ინგლისის სარდლობამ იკისროს მოსაშუალეობა მოწინააღმდეგე მხარეთა შესარიგებლათ.

კრასნოვოდსკთან.

1 აგვისტოს კრასნოვოდსკიდან ბაქოში გემი მოვიდა ლტოლვილებით. მოსულთა სიტყვით, 30 ივლისს ბალშევიკებმა აეროპლანებიდან ქალაქს ყუმბარები დაუშინეს. ერთი ყუმბარა დაეცა ინგლისის შტაბს, მეორე მოხალისეთა ჯარის არსენალს, სადაც დიდი აფეთქება გამოიწვია. იმავე ღამით, როგორც ინგლისის, ისე რუსთა შტაბები პეტროვსკში გადაიტანეს. 31 ივლისს მეორეჯერ დაესხნენ ქალაქს აეროპლანები; ქალაქში დიდი შეშფოთებაა. მცხოვრებნი—გორჩინ- ბაქოში და პეტროვსკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

დღეს, საღ. 6 ს., ქალ. თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა თფილისის ყველა ორგანიზაციებისა.

ხალამი სახალხო გვარდიას დამფუძნებელ კრებისაგან. სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო: გთხოვთ გადასცეთ სახალხო გვარდიას დამფუძნებელი კრების გულმხურვალე სალამი. დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ სამშობლოს ღირსებისა და მთლიანობის დამცველი დემოკრატიული სახალხო გვარდია კვლავინდებურის თავდადებით განაგრძობს თავის წმინდა მოვალეობის ასრულებას.

საქართველოს და მისი თავისუფალი ხალხის მტკიცე ზღუდენო, გამარჯვება გიძღოდეთ წინ!

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამანანაგი **ხვიმონ მდივანი.**

მომავალ სამოსწავლო წლიდან მე-6 ვაჟთა გიმნაზია დახურულ იქნება ამ გიმნაზიის მოწაფენი გადაყვანილ იქნებიან მეოთხე ვაჟთა გიმნაზიაში, ხოლო დირექტორი ამ გიმნაზიისა ლიასუკი მიწვეულია სლავიანურ გიმნაზიაში.

კაპელა. კვირას, 3 აგვისტოს, მუშტაიდში „კაპელამ“ (ქართ. სამუს. საზ ბის და ამ. კავკ. კოოპერატივთა კავშირის მომღერალთა გუნდმა) გამართა რეპეტიცია, რომელსაც დიდძალი მოსწავლე ბავშვები დესწრო. ზალა თითქმის სავსე იყო. მათ სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. დიდის სურვილით და სიჩუმით მოისმინეს კონცერტი. სამშაბათს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია კონცერტი, რომელზედაც მოწვეულია როგორც მთავრობა და დამფუძნებელ კრების წევრნი, აგრეთვე ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

ქრონიკა

მეოთხე რაიონის კოლექტივის შენობაში დღეს, 5 აგვისტოს საღ. 5 საათზე შესდგება კრება სომეხ ს.-დ. მეოთხე რაიონის. დღის წესრიგი: მობსენება ახალქალაქის ორგანიზაციის შესახებ ამხ. კაიტაჯიანისა და მოხსენება მიმდინარე მოიენტზე ამხ. ვარდოიანისა.

— ოთხშაბათს, 6 მარიამ. საღ. 8 ს. მიხეილის სამკურნალოში შესდგება საქ. ექიმთა პროფ. კავშ. თბილ. განყოფ. საზოგ. კრება.

პროპაგანდის ძრონიკა.

ძუთაისის. (ხონის) განახლებული სემინარია (უკვე საშუალო სასწავლებელი) მიმდინარე წელს დაასრულა: აბულაძე ალექსანდრე, ბახტაძე სარდიონი, ბლუაშვილი დავითი, გვაზავა ნიკო, ზუხუბაია ერასტი, თუთაიშვილი ალექსანდრე, კოპალეიშვილი ხარლამპი, კუტივაძე ელიაზარი, ლაგვილავა ტარასი, მელაძე პარმენი, მესხი მათე, ნადირაძე გრიგოლი, ჩაფიძე ნესტორი, ჩირგაძე პოლიკარპე, ჩიტაია ირაკლი, ქირია ალექსანდრე, ჭანტურია გრიგოლი.

ფრონტისთვის

ს. ავჭალა. 26 ივლისს წყალ-სადენის ბალში გაიმართა წარმოდგენა. ფრონტზე დაზარალებული ოჯახების სასარგებლოდ. ხალხი ბლომად დაესწრო; ვაჭრობა და ბუფეტი შემოსავალი იყო 1395 მან. 50 კ., ბილეთები გაიყიდა 858 მან., ფოსტიდან შემოვიდა 71 მან. სულ შემოსავალი უდრიდა 2324 მან. 50 კაპ. გასავალი 1512 მან. 85 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 812 მან. 75 კაპ., რომელიც გადაეცა ფრონტზე დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ თფილისში არსებულ კომიტეტს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3—4 აგვისტო

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აგვისტოს 2. ამ ჟამად ბალკანეთზე მდგომარეობა შერყეულია. იტალიელები და სამხრეთ სლავიანები ფიუმეში ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი. დალმაციასა და კროაციაში სერბიელების წინააღმდეგ აჯანყებაა. ჩერნოგორიაში მონარქისტები დაჟინებით მოითხოვენ ძველი მეფის დაბრუნებას. ალბანელები იტალიელების და ბერძნების წინააღმდეგ ომს აწარმოებენ. ბულგარეთის ჯარი ოსმალების და რუმინელების სოფლებს თავს ესხმის. რუმინიაში უნგრეთის ბალშევიკები შეიჭრნენ. **პარიზი.** ივლ. 30 ამსტერდამში პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო კონგრესის საგანგებო კომი-

სიის სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „კომისია სთვლის, რომ კონგრესის მთავარი მიზანია ინტერნაციონალის იმ სახით აღდგენა, რომ განმეორება იმ მოქმედების, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს შეუძლებელი შეიქნეს“. **მოსკოვი. სამხ. ცნობა.** აგ. 2. პსკოვის რაიონში ჩვენ უკან დავიხიეთ. სამხრეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. **სამხრეთ დასავ. ლეთის ფრონტი.** ემერინკას რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. **სამხრეთის ფრონტი.** ბორისოგლების რაიონში ჩვენ ბრძოლით სად. კარდაელი და სოფლები დავიჭირეთ. ჩვენ წა მოვიღეთ ზარბაზნები და სხვა მრავალი ქონება. ელანის რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ჩვენი ჯარი მტრის 6 პოლკს შეხვდა, მათ 14 ზარბაზანი ჰქონდათ. ბრძოლის შემდეგ მტერი გაიქცა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები, სამხედრო ქონება და ტყვეები წამოვიყვანეთ. კისლიანსკაია ვისელკისთან ჩვენ 124 ტყვიისფრქვეველი და 1000 თოფი წამოვიღეთ. **მოსკოვი** აგვისტოს 2. **საზავო** კონფერენციის აზრით, მცირე აზიაში საერთო სირთულისა და მოსალოდნელ შეჯახებათა გამო მდგომარეობა საშიშია. ამერიკა სომხეთში მოკალათებას ცდილობს. ამერიკული რადიო ამტკიცებს, რომ საჭიროა ამერიკამ იკისროს სომხეთის მმართველობა. მოკავშირეთა დიპლომატები აღიარებენ, რომ ოსმალეთი მტრულადაა განწყობილი მოკავშირე მთავრობებისადმი. **მოსკოვი.** აგვისტოს 2. ნაუენის რადიო გადმოგვცემს იმ პირობებს, რომელიც მოკავშირეებმა წარუდგინეს უნგრეთს შეთანხმების ჩამოსაგდებათ: საბჭოთა მთავრობა უნდა გადადგეს და შისი ადგილი დაიჭიროს ზომიერ ელემენტებისაგან შემდგარმა მთავრობამ. ყველა დიპ. საბჭოში დროებით ძალაში რჩება, ხოლო იმ პირობით, რომ უნგრეთის სახელმწიფო საქმეებზე გავლენას არ მოახდენენ. მოკავშირეები მოხსნიან უნგრეთის ბლოკადას, ბუდაპეშტს სურსათს მიაწვდიან და რუმინელების წინსვლას შეაჩერებენ. მოკავშირეთა მოთხოვნილებით ყველა სადაო საკითხების მოწესრიგება უნდა გადატანილ იქნას პარიზში, სადაც მიიწვევენ უნგრეთის ახალი მეთაურების დელეგატებს. ნაუენის რადიო იუწყება, რომ ცენ. აღმ. კომიტეტი ამ წინადებას აგვისტოს 5 განიხილავს. **სამარა.** აგვ. 1. ბაქოს მუშებისაგან მოვიდა წერილი, რომელშიაც სწერენ, რომ ნავთის მრეწველობის მდგომარეობა კრიტიკულია. ყველა რეზერვუარები გავსებულია, 2 თვეზე მეტია, რაც მრეწველობა შეჩერებულია. მუშებს ითხოვენ. უმუშევართა რიცხვი 25,000-მდე აღწევს, რაც ინგლისის სარდლობას აშინებს. მუშების დამოკიდებულება ადერბეიჯანის მთავრობასთან მედიდურია. ყოველ დღე ხდება დემონსტრაციები და გაფიცვები. ბაქოს ციხეები სავსეა. **პეტროგრადი.** აგვ. 2. ზინოვიევი სწერს: ფინეთის თეთრგვარდიელები მე-4 ჯერ ესხმიან წითელ კრასნოშტადს. აგვის. 1-ს დილის 9 ს. კრონშტადტის საზაფხულო ბაღში, სადაც მიტინგი იყო, ყუმბარები ჩამოყარეს. **სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი.** აგვ. 3 ონეგასთან მტერმა დესანტი გადმოსხა და ბრძოლით ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით ნაწილი დაიჭირა. ბრძოლა გრძელდება. **დასავლეთის ფრონტი.** კორელის ველზე ლადოგის ტბის დასავლეთის ნაპირზე ჩვენმა დესანტმა სოფლები აიღო. ამბურგის დასავლეთით ბრძოლაა. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადმოვიდა. მინსკის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენი ჯარი ვერხნედნეპროვოს უტევს. პოლტავიდან 30ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ბრძოლით უსტიევიროგა-ბუტურლინოვკას ხაზისკენ წინ წაიწია. ვოლგის მარცხენა ნაპირზე ბოსკუნჩაკის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილმა რამდენიმე სოფელი აიღო. ორენბურგის დასავლეთით ჩვენ ილეცკი დავიჭირეთ და 500 ტყვე წამოვიყვანეთ. 5 დღის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ სულ 2500 კაცი. ტროიცკიზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩელიაბინსკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი უტევს. ჩვენმა ჯარმა დალმაროვი დაიჭირა და შადრინსკისკენ იწევს. **№-ის არმიის შტაბი.** პსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. პსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ გორიანოროჟანკა და ფოლონოვო დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ თოფები და ტყვეები წამოვიყვანეთ ჩვენ პსკოვ-ოსტროვის მიმართ ენერგიულად ვუტევთ.

ინგლისური პრესის ცნობები.

როგორც სჩანს, სომხეთში ანარქია მანამდე გაგრძელდება, სანამ ამერიკა მანდატის საკითხს არ გადასწყვეტს. იქიდან ბრიტანიას ჯარის მოსალოდნელი წამოსვლა სომხეთს უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს ოსმალთა სიმკაცრის წინაშე. მოკავშირეთა ეხლანდელი ტაქტიკა ათამამებს ოსმალებს, რომელთაც ბოროტმოქმედება განაახლეს. ინგლისელებს არ შეუძლიანთ იქ წესიერების დასაცავად ჯარის დატოვება, რადგანაც მუშათა პარტია მათი სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვს. სომხებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ დაიცავდენ და მაშინ კი მათ დაუნდობელ ოსმალებს და ქურთებს ჩაუგდებენ ხელში. აქ ფიქრობენ, რომ ის უკმაყოფილება, რომელიც ამერიკაში გამოიწვია ევროპის საქმეებმა და თანდათან იზრდება, წინააღმდეგობას შეჰქმნის იმ კაცთმოყვარეობრივ პროექტებისადმი, რომელთა განხორციელებაც ისე ადვილი იყო. როგორც კი ოსმალები გაიგებენ, რომ ამერიკა მონაწილეობას იღებს მანდატის საქმეში, დაუყონებლივ შესწყვეტს თავის სიმკაცრეს. სომხეთის მანდატი პოლიტიკური საკითხი არ არის. საერო მდგომარეობა მოითხოვს ძლიერ კეთილსინდისიერ და უანგარო მთავრობის დაყენებას. ევროპამ იცის, რომ რაკი ამერიკა ხელს მოჰკიდებს საქმეს, ენერგიულად წაიყვანს მას, მით უმეტეს, რომ ეს პრესტიჟს ჰმატებს მანდატს.

ღღეს ავსტრიელებს კიდევ გაუგრძელეს ვადა 7 დღით.

კლემანსომ ღღეს ბერლინში ულტიმატუმი გაგზავნა ზლეზვიგში გერმანელების მიერ გერმანიის სახელმწიფო ქონების გაყიდვის გამო.

ამერიკის საზავო კომისია და მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა 2 სახელმწიფო კიდევ დაადასტურებს გერმანიის ხელშეკრულებას და ძალაში შევა. საფრანგეთი ინგლისი, იტალია, იაპონია, ბელგია და სხვა რამდენიმე მცირე სახელმწიფო დარწმუნებული არიან, რომ ამერიკაც დაადასტურებს ხელშეკრულებას, და უკვე დანიშნეს თავისი წარმომადგენლები სხვა და სხვა კომისიაში, რომლებიც უკვე იკრიბებიან საკითხების მოსაგვარებლად და ამ საკითხებზე შესათამხმებლად.

იუწყებიან, რომ საფრანგეთის გენერალური შტაბი აგვისტოს განმავლობაში კიდევ იარსებებს. მშვიდობიან დროს იარსებებს მხოლოდ მთავარი შტაბი მარშალ პეტენის მეთაურობით.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის ახალ კონსტიტუციის აღიარებას პრესა მიესალმება, როგორც დიდ მნიშვნელოვან ამბავს. „ფორვერტს“-ი სწერს: ამნაირად, რევოლიუცია გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბდა, მაგრამ ამით რევოლიუციონური ძალები არ დაიხშო და მათი გავლენა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება საგრძნობი.

ამერიკიდან ინგლისურ გაზეთების მიერ მიღებული ცნობებით, გერმანიის ვაშინგტოში სახალხო ყოფილ წევრებს ბოიდას და ფოს პაპენს სურთ ამერიკაში დაბრუნდნენ იმ მიზნით, რომ იქ აგიტაცია გამართონ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის სასარგებლოდ. უნდა ითქვას, რომ გერმანიის მთავრობას ასეთი განზრახვა არა აქვს და ხელშეკრულების გადასინჯვას აგიტაციით კი ვერ მიაღწევს, არამედ მაშინ, როდესაც სნნამდვილე ცხად ჰყოფს, თუ რა ძნელია მისი პირობების სისრულეში მოყვანა.

ბულგარეთის საზავო დელეგაციამ საზავო კონფერენციის ნოტა გადასცა მაკედონიის შესახებ. ბულგარეთი ფიქრობს, რო დაბრუჯა და ფრაკია ვილსონის პროგრამის თანახმად, ბულგარეთს არ უნდა ჩამოსცილდეს.

უცხოეთი

ვილჰელმის განცხადება

გაზეთი „დეილი გერალდი“ ბეჭდავს შემდეგ ინტერვიუს ვილჰელმთან, რომელიც გაუკეთებია ერთ-ერთ ამერიკული გაზეთის ამსტერდამის კორესპონდენტს. ვილჰელმს განუცხადებია, რომ ის თანახმაა გადასცეს თავის თავი ანტანტას შემდეგი პირობებით: 1) ტრიბუნალს უფლება არა აქვს მიუსაჯოს მას რაიმე სასჯელი, თუ ეს წინასწარ არ არის გათვალისწინებული არსებულ კანონებით. ასე მაგალითად, უარყოფილ უნდა იქნეს გადასახლება ელენეს კუნძულზე ან სხვაგან სადმე. 2) სიკვდილით დასჯა შეიძლება ხმარებულ იქნეს, წინააღმდეგ შეერთებული შტატების მოთხოვნილებისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაუმტკიცებენ ნეიტრალიტეტის დარღვევას და სერთაშორისო შეთქმულობის მოწყობას ზავის წინააღმდეგ. 3) ტრიბუნალმა უნდა განიხილოს ყველა ბრალდებანი, როგორც მეომარი, ისე ნეიტრალური სახელმწიფოებისა, რომლებთაც კი რაიმე ზიანი მოუვიდათ ომში. 4) მასთან ერთად უნდა მიცემულ იქნენ სამართალში გერმანიის მინისტრები, რომლებიც კი ომის დასაწყისში მთავრობის საქმეში იდგნენ. 5) სხდომები საზოგადო უნდა იყოს და ანგარიშები უნდა დაიბეჭდოს ყველა სახელმწიფოთა მთავარ ორგანოებში. 6) ვილჰელმს, რომელიც თავის თავს თითონ დაიცავს, უფლება უნდა ჰქონდეს, რომ ის დაემყაროს მოწმეების ჩვენებებს, დაჰკითხოს ხოლმე მას და მისცეს სასამართლოს განმარტებანი მთავარ ბრალდებელ ან ერთად. ამასთანავე მან დაუმატა, რომ მას არ ეშინიან არაფრისა და არც ეშინია „მოხვდეს აგრაკზე ლონდონში:“ „მე არ დავამთავრებ ჩემ სიცოცხლეს ელენეს კუნძულზე—დაუმატა მან—მე დავამთავრებ ჩემ სიცოცხლეს იქ, საცა ჩემში ჭეშმარიტად საჭიროებენ, ე. ი. ბერლინშიო“.

დემობილიზაცია ინგლისში.

სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა ოფიციალურ ცნობაში განაცხადა, რომ აქამდე მოუხდენიათ 3 მილიონი ინგლისელი სალდათის დემობილიზაცია. თოფის ქვეშ ეხლა არის 1,200,000 სალდათი. ამათში 209,000 თავისუფალი დაქირავებულია. დროებითი ზავის ჩამოვარდნის შემდეგ ჯარები ასეთნაირად არის განაწილებული: რეინსა და საფრანგეთში 420,000; შავი ზღვის ტერიტორიაზე 41,000; აღმოსავლეთში (ინდოეთიც შედის) 105,000; მესოპოტამიაში 76,000; ინგლისში, ირლანდიაში და რუსეთში; 17,000, იტალიაში 7000; ავად არის და დემობილიზაციას ელოდებიან 534,000 სალდათი. შემოდგომაზე რეინზე ჯარი ორ დივიზიამდე შემცირდება. ამ დროისთვის ჯარი გამოყვანილ იქნება კავკასიიდანაც. ყველა ჯარები, რომლებიც რუსეთში არიან, ზამთრამდე დაბრუნებულ იქნებიან ინგლისში, იმათ გარდა, ვინც სამხედრო მისიებთან რჩება. წლის ბოლოსთვის ბრიტანიის ჯარების რიცხვი 600,000 კაცამდე შემცირდება.

გიგლოგრაფიული შენიშვნა

თაგუნა წიგნი I.

წიგნის წინასიტყვაობას ავტორი ამნაირად ათავებს.

„საგაზეთო ფელეტონი თავისი თვისებით კაზმულ ლიტერატურასაც და პუბლიცისტიკასაც უახლოვდება, ამ ორ დარგს შორის საშუალო ადგილი უჭირავს, და ამ გარემოებამ გააბედვინა ავტორს წიგნის გამოცემა. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ავტორს ჰოეტათაც მოჰქონდეს თავი და პუბლიცისტათაც, მაგრამ ისიც საწყენათ დარჩება—არც ერთად ჩასთვალონ, არც მეორეთ. თუმცა—ეს ხომ მკითხველის საქმეა და მაშასადამე—მისი ხმალი და ავტორის კისერი!“.

მკითხველი, რომელიც თავიდან ბოლომდის წაიკითხავს თაგუნას წიგნს, გადაჭრით იტყვის:

თაგუნას ნაწერი უფრო პოეზიაა, ვიდრე პუბლიცისტიკა. პუბლიცისტიკაა იგი იმდენათ, რამდენათაც ყოველი პოეზიაც პუბლიცისტიკაა.

ავტორის ლამაზი, ნარნარი, მდიდარი ენა, მისი წერის მანერა, პოეტური ფიგურებით სახეები, რომლებიც მის ნაწერების ყოველ სტრიქონშია უხვად გაბნეული, ყველა ეს ავტორის უტყუარ პოეტურ ნიჭის მაუწყებელია. თვით მისი იუმორი, რომელიც ცელქ ნაკადივით სჩქეფს ყოველს მის სიტყვაში, ხელოვნების უტყუარი ნაყოფია: იგი არ არის გესლიანი, მგრგვინავი და მჭექარი, ზიზღის მომგვრელი და აღშფოთების გამომწვევი იმის წინააღმდეგ, რაც ავტორს სიცილის საგნად აურჩევია. მისი დაცინვა უბოროტოა, რბილია, ალერსიანია; გულწრფელი სიცილი, რომელიც მკითხველს წასკდება და წიგნის თავიდან ბოლომდის არ მოშორდება, კეთილია და არა მძულვარე. კლასიკურ იუმორისტთა შორის თაგუნას იუმორი ყველაზე მეტად ჩეხოვის იუმორს უახლოვდება, მეტადრე ამ მწერლის მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

თაგუნას ნაწერები ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოებია. მაგრამ თაგუნა მართალს ამბობს, რომ იუმორისტიკა პუბლიცისტიკასაც უახლოვდებაო. დიახ, მისი ნაწერი პუბლიცისტიკაც არის იმ მხრივ, რომ ავტორი ძალიან მგრძნობიერია ცხოვრების დასაცინავ მხარეებისადმი: ამ მხარეებს პოულობს იქ, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავის თვალი ვერ შეამჩნევს, გამოაქვს დღის სინათლეზე და თუმც ნაზათ და უბოროტოთ, მაგრამ მაინც დაცინვის და გმობის საგნად ხდის. ავტორის თვალს არ გამოეპარება სასაცილო არც ცხოვრების მსხვილ და მნიშვნელოვან მოვლენებში, არც წვრილმანში და უმნიშვნელოში; განსხვავება ის არის, რომ პირველი რიგის მოვლენებზე უფრო მეტის ყურადღებით ჩერდება, მეორე რიგისას კი გავლით, სხვათა შორის, მკითხველისათვის მოულოდნელად ჰკრავს წკიპურტს, ბუდიდან ამოაგდებს, ცხოვრებას შეუშფოთებს და სასაცილოდ ააფორიაქებს.

თაგუნას დაცინვას ატყვია თავისი ხაი და მიმართულება. მსხვილ მოვლენებში ავტორის დაცინვის საგნად ხდება საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობა, სარწმუნოებრივი წარმოდგენები, რომლებიც ავტორს—ნაწარმოებში ჭეშმარიტი ანარეკლია იმ სასაცილო ურთიერთობისა, რომელიც მიწაზე არსებობს („საიქიო“), ერთა შორის განწყობილება, კაციჭამია შოვინიზმი, მუდამ კმაყოფილი და თავის ერის ღირსებების გამაზვიადებელი ნაციონალიზმი, („ქართული თეატრი“, „საქართველოს აღორძინება“ და სხ.) მეტადრე მწვავე მათრახები ხვდება ავტორისაგან ქართველ შოვინისტების კაციჭამიაობას, რომლებსაც თეატრშიც კი ეზიზღებათ სომხის გვერდით ჯდომა და სომხურ ენაზე ლაპარაკის მოსმენაც კი ვერ აუტანიათ („№ 47“). მაგრამ თაგუნას მათრახები, მეორე მხრით, არა ნაკლების სიმწვავით ხვდება იმ წრეებს, რომლებიც ქართველ ხალხს დაშორებიან და ქართულ ლაპარაკის გადამახინჯებაში რაღაც „შიკს“ და განათლების პირველ ნიშანს ხედავენ. („ძმური ნუგეში“ და ბევრი სხვა).

მეორე ხარისხოვან მოვლენებში ავტორის დაცინვის საგანს შეადგენს ჩვენი საზოგადოების უკულტურობა, ჩვენი სტუდენტების ქარაფშუტობა, შეუგნებლობა თავის მოვალეობისა ჩვენი არტისტების მხრით, ჩვენი ლიტერატურის დამახინჯება, მოდერნიზმი, „ცისფერი ყანწები“, ლიტერატურის წამრყვნელი და გამათახსირებელი მიმართულებანი, კრიტიკა, რომელიც მკვდრეთით აღმზდგარ რუსთველსაც კი გზას აუბნევდა და სხვა. იმ ნაწერებიდან, რომლებიც ჩვენს მწერლობას შეეხება, აშკარად სჩანს, რომ ავტორი ლიტერატურაში რეალიზმის და ყოველი გადამახინჯება, პრანჭვა გრეხა და აღვირწახსნილობა ლიტერატურაში მათს ზიზღსა გვრის.

თაგუნას იუმორი მარტო დაცინვისაგან არ შესდგება; იგი ცხოვრების კარგს მხარეებსაც ამჩნევს და სიამოვნებით ჩერდება მათზე. მათ გამოხატვაში მკილავ დაცინვის იარაღს თავს ანებებს და ხელში იღებს წამხალისებელს, გამამხნევებელს, სიყვარულით და თანაგრძნობით სავსე სიცილს.

სიცილი მეფობს თაგუნას წიგნში პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდის და წიგნის მკითხველის გულიც განუწყვეტელი სიცილის სამფლობელო ხდე ა. ეს სიცილი, ზოგჯერ მკილავი, დამცინავია, ზოგჯერ საალერსო, მოსიყვარულე. მაგრამ არც ერთ ნაწარმოებში იგი არ არის უხეში, ტლანქი, არც ერთგან იგი არ სცილდება ხელოვნების საზღვარს და არსად ესთეტიურ სიამოვნების ჩარჩოებიდან არ გამოდის.

იმ კრიზისი, რომელსაც ჩვენი გამომცემლობა განიცდის თაგუნას წიგნის გამოცემა ისეთი სასიამოვნო მოვლენაა, რომ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას არ შეიძლება არ ძალულოცოთ. ლ.

ეუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირების საბჭოში.

1 აგვისტოს მუშათა კლუბში შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სხდომა ა. ხელაძის თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) სასურსათო ორგანიზაციის კონსტრუქცია, 2) თუთუნზე მომუშავეთა თხოვნა. 3) შემოსავლის მიხედვით გადასახადების შემოღება, 4) მომრიგებელი სასამართლოს რეორგანიზაცია, 5) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს შ. აბდუშელიშვილი, რომელიც აღნიშნავს ამ საკითხის სირთულეს და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. აღნიშნავს იმასაც, რომ აქამდე მუშები განზე იდგენ, მათ საქმეს სხვა აკეთებდა, ეხლა კი მათ თითონ უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სურსათის შოვნაში და მის განაწილებაში; აგრეთვე ამ საქმეში უნდა ჩაებან ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: სურსათის მოწესრიგების საქმე გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას, სადაც მომეტებულ წილათ შევლენ მუშების წარმომადგენლები და ყველა დემოკრატიული ორგანიზაციების; ამასთანავე ყველა კაპიტალისტებმა უნდა მისცენ სუფსიდიები ქალაქის თვითმართველობას ამ საქმის მოსაგვარებლათ. მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ა. ბახტაძე. აღნიშნავს რა მნიშვნელობას სატარიფო პალატისა, ამბობს, რომ შეიძლება პალატა ვერ უსწრებს იმ გიგანტიური ნაბიჯებით სიძვირის მსვლელობას, მაგრამ იმედია, რომ ის მალე ფეხ-და ფეხ მიყვება ცხოვრებას და ერთგვარ რეგულიატორათ გადაიქცევა მუშათა და შრომის მიმცემთა შორის. შემცდარი ნაბიჯისთვის ის კი ღირსი არ არის ბროტესტისა. კამათის შემდეგ თუ-

თუნის. მუშების წარმომადგენლები ხსნიან პროტესტს. მიიღეს შემდეგი სხდომისთვის დაისვას საკითხი სატარიფო პალატაზე.

მესამე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ა. ხელაძე. აღნიშნა ის, რომ ძველათ ვინც 800 მ. იღებდა, ის არ იხდიდა გადასახადს, ეს კი დღევანდელ ცხოვრებაში ჩამორჩენილათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც რვაასი მანეთი ეხლა ძალიან მცირე ხელფასია და ამიტომ ეს ნორმა გადიდებულ უნდა იქნას 15,000 წელიწადში. ვისაც ამის ზევით აქვს წლიური შემოსამალი, ის გადიხდის და ამით სამართლიანი საშუალება მიეცემათ ყველას მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნაში. დარჩენილი გადასახადები კი მუშებს უნდა გადახდეთ ნაწილ-ნაწილ. ყველა დებულებები საბჭომ მიიღო.

რიგ გარეშე შემოვიდა შეკითხვა შრომის კომისრის ელბაქიანის შესახებ, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო გაგზავნილი საბჭოდან და ამ ბოლო დროს დათხოვნილ იქნა შრომის სამინისტროდან. ამის შესახებ განმარტებას აძლევენ სეკრეტარიატიდან, რომ ელბაქიანი არ არის დათხოვნილი, არამედ—დროებით არის გადაყენებული საქმის გამორკვევამდე. ეს საქმე ირკვევა და შემხდგი სხდომისთვის სეკრეტარიატს საშუალება ექნება ამ საკითხზე უფრო გარკვეული პასუხი მისცეს საბჭოს. სხვა კითხვები გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

ო. მაშოშვილი:

პროვინცია

სად. ჯუმათი, (გურია). ჯურყვეთში ბალშევიზმის მომხრე ჯგუფი შეუდგა აგრარულ რეფორმების და წვრილ საერობო ერთეულთა წინააღმდეგ მოქმედებას. 13 ივლისს ხმოსანთა არჩევნებმა ცუდი შედეგი მოგვცა. მიუხედევათ იმისა, რომ ოთხივე სოფლებში მოძრავი ყუთი იდგა, მაინც ყუთებთან მხოლოდ 520 კაცი გამოცხადდა. მიწის ჩამომრთმევი კომისია ერთი თვეა, რაც აქ მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც მას ხელს უშლიან როგორც მემამულენი, ისე ხსენებული ჯგუფი ბალშევიკებისა.

სპეკულიაციას—ძარცვას-გლეჯას და თავდასხმას ფართე ადგილი აქვს. 13 ივლისს სად. ჯუმათში შესაკეთებლათ დატოვებული შაქრით და ტყავით დატვირთული ვაგონი ქურდებმა ღამით გაახსნეს მომრგებ კლიტით და გაიტაცეს 31 ფ. 20 გ. შაქარი, და 5 ფ. 20 გირ. ტყავი. 20 ივლისს ღამის 2 საათზე თფილისში მომავალ № 6. სახალხო მატარებელი სად. ჯუმათიდან 2 ვერსის მანძილზე მოძალადეებმა კრანის გაწყვეტის საშვალებით გააჩერეს და პირველი კლასის კუპეში ვიღაცა მგზავრს მოსტაცეს 25,000 მანეთი ფული და ერთი ჩემოდანი, რომელშიაც იყო თურმე რამოდენიმე ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები. თავდამსხმელები უვნებლათ მიიმალნენ.

სოფლათ ქურდ-ბაცაც-ნაძირალების თარეშს ხომ საზღვარი არ აქვს. ისინი არ ინდობენ არც მდიდარს, არც ღარიბს, თუ კი საოდმე საკბილო იშოვნეს. ერობამ მილიციონერები მოხსნა და სამაგიეროთ სხვა აღმასრულებელი ძალა არ არსებობს. არსებული ს. დემ. ორგანიზაცია გადაიჩეხა დემოკრატიულ საქმეებში, და მით ასცდა მის გზას და მიმართულებას. ნაცვლად პარტიული მუშაობისა კუთხის „იაჩეიკები“ განაგრძობენ ურთიერთ შორის ბრძოლას საზოგადო დაწესებულებების გადატან-გადმოტანის საქმეში. კუთხურ ბრძოლას აწარმოებენ უმეტეს ნაწილათ კოლექტივის წევრები, რამაც ხელი შეუწყო ბალშევიკების და სხვა მოძალადეების გამოსვლებს. ამის გამო ხალხში ძრიელ გულგრილობა სუფევს. დაუყონებლივ საჭიროა გურიის ს. დ. ცენტრალურ კომიტეტმა და სამაზრო ერობამ ამ მეტად სამწუხარო მოვლენას დროზე ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ყ. მაკაშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ 164 №-ში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც განმეორებაა იმისა, რაც ბ-მა „გულშემატკივარმა“ გვიძღვნა ქუთათურ „სოციალ-დემოკრატში“.

გადავიდეთ პირდაპირ ბრალდების მუხლობრივ განხილვაზე.

1) ოთხი თვეა ზოგიერთ მუშებს ჯამაგირი არ მიუღიათ. განზრახ, ან უნებლიეთ მკითხველი შეცდომაში შეგყავთ. ის კი მართალია, რომ ორი უკანასკნელ თვის ფულის მიცემა მუშებისათვის დაგვიგვიანდა, რადგანაც წარმოებას ასეთი თანხა არ შემოსვლია და კერძოთ შოვნის უფლება არ გვქონდა მოცემული, ვისიც წინაშე ვალდებული ვართ ამის გამო პასუხი ვაგოთ.

2) ბინები არ აქვთ მუშებსო, მაგრამ გუშინ ხომ არ დაწყებულა ტყიბულის წარმოება, და თუ წლობით შესაფერი ბინები არ აუშენებიათ ამ რამ ენიმე თვეში, ჩვენ როგორ შევძლებდით ბინების აშენებას, და ეს კიდევ ისეთ დროს, ზაფხულში, როდესაც ნახშირზე ძლიერ ნაკლები მოთხოვნილებაა, რის გამოც ჯამაგირის მიცემაც გვიჭირს.

3) სურსათის საქმე ვერ არის კარგად დაყენებულიო. გეთანხმებით; მაგრამ მიგვითითეთ სად არის ეგ მხარე ჩვენი ცხოვრების იდეალურათ მოწყობილი! ჩვენ ვალდებული გახლდით მუშებისთვის მიგვეცა ლობიო და დღეში სულზე 3 გირვანქა მჭადი, 1 გირვანქა მანეთად. ექვსი თვის განმავლობაში თუ ექვსი დღე გამოგვერია ისეთი, რომლებშიდაც 3 გირვანქის მაგიერ 2 გირ. და 1 ნახ. გ. მივეცით, ეს სურსათის უქონლობას არ ნიშნავს იმ სახით, როგორც თქვენ ცდილობთ მკითხველს დაანახოთ. მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენ სიმინდის შესაძენათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოსაგან ვლებულობთ ნებართვას. უკანასკნელი კი სიმინდს გვაძლევს „შეძლებისდაგვარად“ რომელიმე ერობის ერთეულიდან. მოხდა ისეთი შემთხვევა, რომ ეს „შეძლებისდაგვარად“ ჩვენს ნებასა და სურვილს არ დაემორჩილა და დროზე სიმინდი ვერ მივიღეთ.

4) ბ-ნი „მეხი“ თითქოს რაღაცაში გვამხილებს, როდესაც პორტის სამმართველოსაგან და რკინის გზიდან ფულის მოუცემლობას ეხება, როგორც ჩვენგან ნახმარ თავის მართლების საბუთს. მართლა ვერ მოგვცეს ამ დაწესებულებებმა დროზე ფული იმიტომ, რომ არ ჰქონდათ მათაც და თუ გგონიათ, რომ სამინისტროს შეუძლია, როდესაც და რამდენიც სურს იმ დროს და იმდენი გამოიტანონ ხაზინიდან, დიდი შეცდომაა.

5) თქვენი რწმუნებით გზათა სამინისტროს ამდენ ხანს არ სცოდნია არაფერი მაღაროების შესახებ. ვფიქრობ რომ, შეიძლება, ამაში სცდებოდეთ, რადგანაც დაუჯერებელია, რომ გზათა სამინისტროს, რომლის უწყებასაც ექვემდებარება ჩვენი წარმოება, არაფერი სცოდნოდა მის შესახებ, თქვენს მოხსენებამდის.

6) გიკვირთ, თუ რაზე არ აქვს ჩვენს ნახშირს ბაზარზე მოთხოვნილება. ეს ადვილი ასახსნელია: ჩვენი ტყეების უმოწყალოდ განადგურების წინააღმდეგ ზომებს არავინ ღებულობდა, ნახშირის ხმარებას ხალხს არ აჩვევდენ, ამის გამო არც ბუხრები და არც სამზარეულო პლიტები გვაქვს საამისოთ მოწყობილი და დღემდე ბევრმა არც იცის, თუ შეშის მაგიერობას ქვა ნახშირი გასწევს. საამისო ზომები კი უკვე მიღებულია და დარწმუნებულიც ვართ, მომავალში ამის ნაყოფსაც ვიხილავთ.

7) ნახშირის გავრცელების საქმეში სპეკულიაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილიო! მაგრამ რომელ საქმეშია გასამართლებული სპეკულიაცია. მიუხედავათ ამისა რომელ კომერციულ საქმეში ეხერხება ჩვენს დროში, საკვლებით გვერდი აუაროს სპეკულიაცას?.. თუმცა ამ მხრით ჩვენ შესაფერ ზომებს ვღებულობთ და მადა გახსნილობას ვზღუდავთ.

8) გვასწავლით, რატომ წარმოება თვით არ აწვდის მომხმარებელს ნახშირს და ან საკუთარი აგენტები არა ჰყავსო. ვინც საქმეს იცნობს, იმისათვის ეს ნათელია და აი რატომ: სანამ ბაზარი ვერ მოგვიპოვებია და მისი მოთხოვნილება არ ვიცით, თითო-ოროლად გვიხდება მომხმარებელის შეძენა და ამისათვის ყოველ კუთხეში საკუთარი საწყობების გახსნა და საკუთარ აგენტების ყოლა ერთობ ძვირი დაგვიჯდება. ამისთვის საჭიროა გვარიანათ მოზრდილი სათადარიგო თანხა, და სანამ ასეთი გვექნება, პირადათ დაინტერესებულ პირთა საშუალებით გვიხდება ნახშირის გასაღება, მაგრამ ნუ თუ გვონიათ, რომ ჩვენ ნახშირს რა ფასებშიც სურთ, ისე გაყიდიან ჩვენი დროებით აგენტები? არას დროს. რადგანაც ჯერ ნახშირს არ ვართ შეჩვეული და თუ შეშაზე, ძვირი დაჯდა, მას არავინ იყიდის. ჩვენი აგენტები თურმე ბაქოში ფუთ ნახშირს 25 მ. ჰყიდიან. კარგი დაგემართოთ, თუ ასეთი ფასი აქვს ბაქოში ჩვენ ნახშირს ნავთის სამეფოში, სადაც ეს სათბობი ფუთი 25 შაურიც არ ღირს იქ ფუთ ნახშირში 25 მანეთს არავინ მისცემს.

ყველაფერი რომ იდეალურათ მიმდინარეობდეს იმას რა სჯობია, მაგრამ მომავალ საუკუნეთა უკუღმართულ წესისაგან დამახინჯებულ პირობებს ხანგრძლივი დრო ესაჭიროება გასაჯანსაღებლათ და ამას ვერც ტყიბულის ადმინისტრაცია შესძლებს ასე უცბათ და ვერც გაზეთებ.ს წერილები. ბევრი მიზეზების ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. ამ წერილსაც ჩვენ იმისთვის არ ვათავსებთ, რომ მომავალშიაც ვწერთ ამ საგანზე, არამედ იმიტომ,—რომ თუ ვინმეს წინაშე მართლა რაიმე დანაშაული მიგვიძღვის, მოგვთხოვონ ანგარიში ჩვენი პირდაპირი მთავრობის საშუალებით და ჩვენც პასუხს ვაგებთ.

ერთი ადმინისტრატორთაგანი.

რედაქციისაგან. როცა ჩვენ ტყიბულის მაღაროების და მისი ადმინისტრაციის შესახებ წერილებს ადგილს ვუთმობდით, სახეში გვქონდა საქმის გამორკვევა. და არა „საზოგადოებრი აზრის შემუშავება“ ადმინისტრაციის ან ვინმეს წინააღმდეგ. ტყიბულის მაღაროები, ისე, როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი დემოკრატიის საკუთრებაა. რკინის გზის სამინისტრო, რომელსაც აბარია ეს მაღაროები, კერძო დაწესებულება არ არის, რომ ზედმეტი ღირებულების შეგროვების მისწრაფებით მუშები მშივრები დასტოვოს. შრომის სამინისტრო და მუშათა პროფესიონალური კავშირი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, შესძლებენ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებას, რასაც ადგილი ექნება ხსენებულ მაღაროში. ჩვენი გაზეთის მცირე წვლილიც ამ საქმეში ყოველთვის დახმარების ხასიათისა იქნება.

ცნობები

28 კვირიკობისოვეს სოფელ სვირიდგან წავიდა ყოფილი გვარდიელი კალისტრატე გიორგაძე. თუ ვინმემ რამე იცის, სთხოვს მამა აცნობოს. მამა უმწეო მდგომარეობაშია. მისამართი: ქ. ყვირილა სიმონ ჭანკვეტაძეს გადასაცემათ იპოლიტე გიორგაძეს.

ჩვენი ფოსტა

დ. ბალი. პოდპ. ანთელავას. გაზეთი გეგზავნებათ.

განცხადებანი

იყიდება

ორი რკინის ბადიანი ფანჯარა და 1 კარი ნიკო კურდღელაშვილთან. ვაკე, სახლი ქდანოვისა.

შემთხვევით იყიდება

ნივთები: კამოდი, კრაოტები, ტახტები, გორდერობი და სხვა. იკითხეთ: მოსკოვის ქუჩა, № 9, ბინა 8. (2—1)

იყიდება სახლი ბალით.

იქვე იყიდება საოჯახო ნივთები. იკითხეთ: მე-6 სამილიც. უბანი. პაულუჩის ქ. № 11. (2—1)

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა ვ. პ. ბოსეშვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ექიმი მ. ფ. ბგალობლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლოლას ქ. № 41, ტელ. 12—75.

დოქტორი ვ. ბილდუტევი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მიანვარი გოსპიტალისა და ქენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი, ნამრჩენი ნათალები ებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა № 89.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

კერძო სამკურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—4)

ექიმი ფ. ა. ფაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლოლას ქუჩა № 33.

საექიმო კაბინეტი

ექიმ ა. ი. ფაფუნელაშვილის

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე ფახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ-ცხელ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ფ. ბ. ფეგრანიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რესტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჩასხივებით, დიდი სალენოიდი და არსებული, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ექიმი ნ. დ. ტუგანაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დილის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ქალი ნ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 ოგვისტომდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

თფ. საშუალო პოლიტექნიკური

სასწავლებელი

გადაკეთებული საშუალო ტექნიკურ სასწავლებლიდან,

იღებს თხოვნებს ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო განყოფილებებზე; პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინისგზო, მექანიური და ელექტრო-ტექნიკური; მეორეზე—გზათა საამშენებლო, სახუროთმოძღვრო და ჰიდრო-ტექნიკური. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა. მისამართი; თფილისი, დიდიმთავრის ქუჩა, № 70.

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

№ 5.



მიხეილის ქუჩა სახლი № 128.
თბილისი

Тифлисъ, Михаил. пр. № 128

ღვინო იყიდება ძლიერ ხელმისაწვდენ ფასებში, რაგორც პარტიით აგრეთვე წვრილათ. (2—2)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუბინისა, გაბაევის შესახვევი № 1.